განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 09/06/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 16/07/2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ინჟინერიის ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში 0712.1.1 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვაჟა ტრაპაიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | აკაკი ჩალათაშვილი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამების ოფისი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | კონსტანტინე ხაჭაპურიძე. სს ,,RMG Copper'' გარემოსდაცვითი მმართველი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოსო გაზდელიანი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ ახალია და მოიცავს 240 კრედიტს. მისი შედგენისას გათვალისწინებულია ევროპის მთიანი რეგიონის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება კავკასიის რეგიონში არსებული პრობლემატიკის გათვალისწინებით. საქართველოს მთიანი ტერიტორიიდან გამომდინარე პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია. მასში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი. პროგრამა უზრუნველყოფს მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 ივნისს, რომლის დროსაც გაიმართა შეხვდრები სტუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) დათვალიერება

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულეციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობასია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბმისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციდან და მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხება სასწავლო პროგრამაში რამოდენიმე საგნის დამატებას ან/და მოდიფიცირებას, კერძოდ:

- დაემატოს ძირითადი საგანი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, მათ შორის საჯარო განხილვის პროცედურას და სტრატეგიული განვითარების (სგშ) გამოყენების პრინციპებსა და ძირითად ეტაპებს, აღნიშნული საკითხის ელემენტები წარმოდგენილია საგნით „გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი“, მაგრამ აღნიშნული საგნის სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას. როგორც ლიტერატურის, ისე სალექციო საკითხების კუთხით.

- დაემატოს ძირითადი საგანი „საინჟინრო გეოლოგია“, აღნიშნული კურსის ფარგლებში შესასწავლი საკითხები რამოდენიმე სხვა საგანშია წარმოდგენილი, მაგრამ მიზანშეწონილია მისი ერთ საგნად გაერთიანება.

- საგანი „მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტი“ არჩევითი კომპონენტიდან გადავიდეს სავალდებულო კომპონენტში ასევე მოხდეს სალექციო თეამატიკის გადახალისება

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარებისათვის სასურველია:

- დაემატოს არჩევითი საგნები: ნარჩენების მართვა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა და მენეჯმენტი
- სემესტრებში სასწავლო კურსის ისეთი გადანაწილება, რომ საგნები; ,,გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემები მდგრადი განვითარებისათვის'', ,,მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დაგეგმარება მიწათმოწყობა და კადასტრი'' და ,,მიწათმოწყობა და კადასტრი'' იკითხებოდეს შესაძლებლად ახლო პერიოდულობით, გარდა ამისა საგნებში ,,მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დაგეგმარება მიწათმოწყობა და კადასტრი'' და ,,მიწათმოწყობა და კადასტრი'' შევიდეს პრაქტიკული სწავლების მეთოდი გის პროგრამის გამოყენების საშუალებით, რაც კიდევ მეტად გააძლიერებს გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებას თემატურ საგნებში.
- შემოკლდეს (გამარტივდეს) ზოგიერთი საგნის სახელწოდება;
- ზოგიერთ საგანში უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს სოცილურ-ეკონომიკურ საკითხებზე მდგრადობის მიზნების მისაღწევად;
- სასწავლო მასალის პერმანენტული განახლება, მათ შორის სამართლებრივი აქტების სასწავლო მასალად გამოყენების შემთხვევაში გადამოწმდეს ნორმატიული აქტების უახლესი რედაქცია;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| საქართველოს ტერიტორიიიის დიდი ნაწილია მთიანია, ის მუდმივად განიცდის როგორც ბუნებრივ ისე ანთროპიოგენურ ზემოქმედებას, კლიმატის ცვლილების შედეგად იზრდება სტიქიური პროცესების განმეორებადობა და სიხშირე აქედან გამომდინარე ბუნებრივი იმ სპეციალიტების მომზადება რომელიც შეძლებს ბუნებრივი საფრთხეებისაგან გარემოს დაცვის თეორიულ და პრაქტიკული საკითხების შესწავლას ძალზე მნიშვნელოვანია, პროგრამის ძირითადი მიზნებია:<br>- მიღებული ცოდნის ფარგლებში წინასწარ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად საინჟინრო სისტემების ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას;<br>- მთის ბუნებრივი რისკების გათვალისწინებას, თოვლისა და ზვავის გამომწვევი ფაქტორების დადგენას, წყლისმიერი ეროზიული პროცესების დარეგულირებას; ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებას;<br>- მოსალოდნელი კატასტროფების ფორმირების დროს მოწყვლადი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკების დადგენას; ტყის ხანძრების პროგნოზირებისა და მასთან ბრძოლას;<br>- მთის მდინარეებზე კალაპოტური პროცესების ფორმირების გამომწვევი მიზეზების განსაზღვრას; ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების დაგეგმარებასა და დაცვას;<br>- მთის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას; გარემოს მდგრადობის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.<br>- შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიულად მოტივირებული და კონკურენტუნარიანი ღირსეული კადრების მომზადებას.<br>პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ასევე ითვალისწინებს დარგის განვითრებისადმი სახელწიფოს მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები<br>2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება<br>3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.<br>4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;<br>5 . საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ სტრატეგიული დაგეგმარების SWOT ანალიზი |

6. ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგები ძირითად ნაწილში შეესაბამება შინაარსით გათვალისწინებულ ძრითად ცოდნას უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დონეს და მოქმედ რეგულაციებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება კერძოდ

კურსადამთავრებული:

- განაზოგადებს ბუნებრივ საფრთხეებს, მის გამომწვევ მიზეზებს, დაკავშირებულს ღვარცოფთან, წყლის ეროზიასთან, მეწყერებთან, ზვავთან და გარემოს დაცვასთან;
- განიხილავს გარემოს მდგრადობისა და დაცვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით გასატარებელ პრეევენციულ ღონისძიებათა მეთოდებს;
- განსაზღვრავს ბუნებრივი საფრთხეების გამომწვე ფაქტორებს; გარემოს მდგრადობის შეფასებასა და ანალიზს; სტიქიური პროცესების დაცვითი ღონისძიებების საინჟინრო გადაჭრის გზებს;
- დაგეგმარების, პროექტირებისა და მშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებს;
- ციტირებს მთის ბუნების, გარემოს მდგრადობისა და დაცვისათვის საჭირო სპეციფიკურ მახასიათებლებისა და მთიანი რეგიონის მდგრადი განვითარების შესახებ პროფესიულ ინფორმაციაზე.
- ასაბუთებს, გარემოს მდგრადობისათვის გასატარებელ ღონისძიებებს; მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობას, საკუთარ დასკვნებს და წინადადებებს;
- აკეთებს საინჟინრო ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობის შეფასებას; მთის ბუნებრივი გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისათვის საჭირო გასატარებელ პრაქტიკულ ღონისძიებებს და დასკვნებს;
- იყენებს ბუნებრივი კატასტროფული მოვლენებისაგან დაცვის მიზნით საინჟინრო მათემატიკური მოდელირების მეთოდებს; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციულ ტექნოლოგიებს;
- განსაზღვრავს მთაში ეკოლოგიური წონანსწორობის შენარჩუნებისათვის საჭირო აუცილებელ პირობებს; ბუნების მდგრადობის ფაქტორებს; ეკორისკებისაგან დაცვითი ღონისძიებებისათვის საჭირო პირობებს; ჩასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებს;
- გეგმავს პროფესიული კარიერის სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების აუცილებლობას; - სწავლის შედეგების მრავალმხრივ თანამიმდევრულ ეტაპობრივ შეფასებას;
- ამტკიცებს საინჟინრო პროფესიული ქცევის ღირებულებებს: პუნქტუალობას, ობიექტურობას, ორგანიზებულობასა და კეთილსინდისიერებისაკენ სწრაფვას, პროფესიისადმი პატივისცემას;

სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს,პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
3. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019
5. წლის10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.
6. სტუ-ს „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.
7. პროგრამის სტრატეგიული დაგეგმარების SWOT ანგარიში

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორცილდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სტუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა არის უზრუნველყოფილი. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მომავალი სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირთათვის სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის მიერ მოეწყოს ორგანიზებული ღია კარის დღეები, საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია საჯარო და კერძო სკოლებში და სხვადასხვა დაწესებულებებში. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. საგანმანათლებლო პროგრამა;<br>2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება<br>3. სტუ ვებ გვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა"" მოიცავს 240 კრედიტს (ECTS).რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის შესაბამისი დონით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; სასწავლო გეგმის მიხედვით ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 225 კრედიტი, ხოლო არჩევით სასწავლო კურსებს 15 კრედიტი, 225 კრედიტიდან სპეციალობის დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსია 177 კრედიტი, საველე პრაქტიკა ასევე შედის სავალდებულო კურსებში და დათმობილი აქვს 10 კრედიტი, არჩევითი კურსები წარმოდგენილია 38 კრედიტით, ხოლო თავისუფალი კრედიტები 15. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და ძირითად ნაწილში უზრუნველყოფს სწავლი შედგების მიღწევას, კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

***1.*** საგანმანათლებლო პროგრამა
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
4. ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| - დაემატოს ძირითადი საგანი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, მათ შორის საჯარო განხილვის პროცედურას და სტრატეგიული განვითარების (სგშ) გამოყენების პრინციპებსა და ძირითად ეტაპებს, აღნიშნული საკითხის ელემენტები წარმოდგენილია საგნით „გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი", მაგრამ აღნიშნული საგნის სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას. როგორც ლიტერატურის, ისე სალექციო საკითხების კუთხით. სალექციო კურსი გასცდეს ტყეს და მოიცვას ეკოაუდიტისა და ეკოექსპერტიზის ზოგადი საკითხები<br>- დაემატოს ძირითადი საგანი „საინჟინრო გეოლოგია", აღნშნული კურსის ფარგლებში შესასწავლი საკითხები რამოდენიმე სხვა საგანშია წარმოდგენილი, მაგრამ მიზანშეწონილია მისი ერთ საგნად გაერთიანება<br>- საგანი „მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტი" არჩევითი კომპონენტიდან გადავიდეს სავალდებულო კომპონენტში ასევე მოხდეს სალექციო თემატიკის გადახალისება, კერძოდ სალექციო მასალამ მოიცვას არა მხოლოდ და საქართველოს წითელი ნუსხა, ასევე IUCN-ის წითელი ნუსხაც. დაცული ტერიტორიებთან ერთად სტუდენტებს მიეწოდოთ ცოდნა ზურმუხტის ქსელის, რამსარის საიტების, იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნების, ასევე „სხვა ეფექტიანი ტერიტორიული საკონსერვაციო ღონისძიებების" შესახებ, რომლებიც ხშირად „საკონსერვაციო ტერიტორიებად" მოიხსენება; |
| რჩევები:<br>- დაემატოს არჩევითი საგნები: ნარჩენების მართვა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა და მენეჯმენტი.<br>- სემესტრებში სასწავლო კურსის ისეთი გადანაწილება, რომ საგნები; ,,გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემები მდგრადი განვითარებისათვის'', ,,მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დაგეგმარება მიწათმოწყობა და კადასტრი'' და ,,მიწათმოწყობა და კადასტრი'' იკითხებოდეს შესაძლებლად ახლო პერიოდულობით, გარდა ამისა საგნებში ,,მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დაგეგმარება მიწათმოწყობა და კადასტრი'' და ,,მიწათმოწყობა და კადასტრი'' შევიდეს პრაქტიკული სწავლების მეთოდი გეოინფორმაციული სისტემების GIS პროგრამის გამოყენების საშუალებით, რაც კიდევ მეტად გააძლიერებს გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებას თემატურ საგნებში.<br>- შემოკლდეს (გამარტივდეს) ზოგიერთი საგნის სახელწოდება<br>- საუნივერსიტეტო არჩევით საგნებში სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, სპეციალობასთან ახლოს მათთვის საინტერესო საგანი აირჩიონ;<br>- გეოსაინფორმაციო სისტემების კურსის შესწავლამდე, სტუდენტებს მიეწოდოთ საგანი გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის ზოგადი საკითხების მიმოხილვით; |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება.დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს.ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების სქემაში მოცემული ინფორმაციით. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოსადადაცვის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი სასწავლო კურსები (სილაბუსები), რომლებიც შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს გაუადვილდეს დარგობრივი საგნების შესწავლა და წარმოადგენს სპეციალობის საგნებზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულადა ხორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას

სილაბუსებში მითითებული სავალდებულოლი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის სილაბუსს ,,გარემოს შეფასება, ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი''-ის სახელწოდებიდან გამომდინარე, მათ შორის საქართველოს გარემოსდაცვითი მოქმედი კანონმდებლობის ტერმინოლოგიის შესაბამისად, თუ ვიმსჯელებთ საგანი უნდა მოიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურებს. ასევე საგნის მიზანში წერია: ,,შეასწავლოს სტუდენტებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, მონიტორინგისა და აუდიტის თანამედროვე მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში. გააცნოს სტუდენტებს საქართველოს კანონის „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" დებულებები და მოთხოვნები, ეკოლოგიური კონტროლის ჩატარების აუცილებლობა, ბუნებაში ეკოლოგიური ზიანის შეფასების კრიტერიუმები; ეკოლოგიის სფეროში შესაძლო დარღვევების აუცილებელი გასატარებელი ღონისძიებები; შესაძლო გამოვლენილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის გზები'', ხოლო თემატიკაში მთლიანად სილაბუსი აწყობილია ტყითსარგებლობის, ხე-ტყის ჭრის ეკოლოგიური ანალიზის და სხვა ხე-ტყის ჭრისა და ტყითსარგებლობის საკითხებზე, რაც ასევე დაადასტურა სილაბუსის ავტორმა აკრედიტაციის ვიზიტის დროს. გარდა ამისა სილაბუსში გამოსაყენებელი საქართველოს კანონი "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" ძალდაკარგულია, ხოლო სილაბუსში ძირითად წყაროში მითითებული საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საერთოდ გაურკვეველია რა კავშირშია როგორც სილაბუსთან ასევე წარმოდგენილ პროგრამასთან. საჭიროა საგნის გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპეტიზა და აუდიტის მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. პროგრამის სწავლის შედეგი;
4. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
5. .ბიბლიოთეკის კატალოგი
6. ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამას დაემატოს ძირითადი საგანი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, მათ შორის საჯარო განხილვის პროცედურას და სტრატეგიული განვითარების (სგშ) გამოყენების პრინციპებსა და ძირითად ეტაპებს, აღნიშნული საკითხის ელემენტები წარმოდგენილია საგნით „გარემოს შეფასება ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი", აღნიშნული საგნის სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას. როგორც ლიტერატურის, ისე სალექციო საკითხების კუთხით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მთის ფერდობების მდგრადობა და ტყის ბუნებრივი რესურსების უსაფრთხო გამოყენების ტექნოლოგიის კურსში სალექციო თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, განხორციელდეს პრაქტიკული სამუშაოები;
- შემოკლდეს საგნის დასახელება „მთაში ეკოლოგიური გამოწვევები, კატასტროფები და რისკები" და დაზუსტდეს სალექციო თემატიკიდან გამომდინარე;
- შემოკლდეს საგნის დასახელება „საერთაშორისო ორგანიზაციები, კონვენციები და

კანონმდებლობა გარემოსდაცვის სფეროში“; დაემატოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია; ამოღებული იყოს ეროვნული კანონმდებლობის კომპონენტი დასახელებიდან;
- გარემოს მდგრადობისა და დაცვის სასწავლო კურსში აქცენტი გაკეთდეს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მდგრადობის მიზნების მისაღწევად;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკა, რომლელსაც დათმობილი აქვს 10 კრედიტი, პრაქტიკის დროს სტუდენტი იმყოფება ობიექტზე და ეცნობა ადგილზე არსებულ რეალურ მდგომარეობას, სადაც მას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური (მენტორი), რომელიც ასევე აფასებს სტუდენტის საქმიანობას;

სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტების ნაწილი გულისხმობს საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი კვლევის ელემენტები. სტუ-ს უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას ხელშეწყობას რაც კიდევ უფრო განავითარებს სამეცნიერო კვლევითი და ტრანსფერული უნარებს.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>1. საგანმანათლებლო პროგრამა<br>2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>3. ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრი"ერთად"<br>4. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესის შესახებ“<br>ინტერვიუები |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სტუდენტების ცოდნის გასაღრმავებლად კიდევ უფრო გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |

სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ლექცია, სემინარი (სამუშაო ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა, აღნიშნული მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური, დემონსტრირების, სინთეზის, ვერბალური, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა განმარტებითი მეთოდი, პროექტზე მუშაობა და პრეზენტაცია, დედუქციური, ანალიზის და პრობლემაზე დაფუძვნებილი სწავლება. თითოეული საგნის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი თუ რა მეთოდების გამოყენება ხდება კონკრეტული სასწავლო კურსის ათვისებისას, ძირითად ნაწილში შესაბამისობაშია სტანდარტებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუ–ში მოქმედებს სტუდენტის ცოდნისშეფასების მრავალფეროვანი მეთოდები წერითი გამოკითხვა საკითხებით, ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით, ნახატის, ნახაზის, ესკიზის შესრულება, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, მაგალითების, ამოცანების ამოხსნა, საკურსო პროექტის, აგრეთვე საკითხის ან პრობლემის შესახებ მასალის და პრეზენტაციების მომზადება, ინფორმაციის მოძიება შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი მეთოდი ან რამდენიმეს კომბინაცია. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა ვრცლად მოცემულია სილაბუსებში.

